

სვერის თემში მაჟორიტარი დეპუტატის ნუგზარ ჯაფარიძის მიერ განეული მუშაობის ანგარიში 2014-2015 წლებში.

როგორც მოგეხსენებათ, სვერის თემში არჩეული ვარ მაჟორიტარ დეპუტატად და აქტიურად ვარ ჩართული, თემში არსებული ყველა პრობლემის მოგვარების საქმეში.

სისტემური შეხვედრები მაქვს მოსახლეობასთან, როგორც უბნების მიხედვით, ასევე სამსახურში მიღებაზე და შესაძლებლობის ფარგლებში ვუწევ დახმარებას.

2014-2015 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სვერის თემში გამოყოფილი იქნა დაახლოებით 110000 ლარი, რომელიც, სვერში, ცხრუკვეთში და თვალუეთში ჩატარებული კრებების მიხედვით, მოსახლეობის სურვილებისამებრ განაწილებული იქნა. აღნიშნული თანხა მოხმარდა აღნიშნული სოფლებში ორი სარიტუალო დარბაზების მშენებლობას და სარემონტო სამუშაოებს, ასევე წყლის სისტემის მოწესრიგებასა და წყლის მიღების შექმნას.

აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ყოველ ღონეს ვხმარობ იმ პრობლემების მოსაგვარებლად, რომელსაც მოსახლეობას წინა საარჩევნოდ შევპირდი.

2014 წელს მოხდა სოფ. სვერის ლოჟდერეთის საუბნო გზის მოხრეშვა-მოშანდაკება, რაზედაც დაიხარჯა 6000 ლარ.

ჩემი უშუალო და აქტიური მონაწილეობით სოფელ სვერში მოხდა შიდა საუბნო გზის 5 მონაკვეთის მობეტონება, სადაც დაიხარჯა 38 0000 ლარი.

სოფ. სვერში გარემონტდა საბავშვო ბაღი, რომლის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 10 000 ლარს.

სოფ. ცხრუკვეთში გაიჭრა ჭაბურღილი, სამწუხაროდ წყალი არ ამოვიდა.

სოფ. თვალუეთში, შენობა რომელიც კოოპერატივის საკუთრებას წარმოადგენდა, დაუბრუნდა სოფელს და იქ დანაშაულია საბავშვო ბაღის რემონტი, რომელიც უახლოეს დღეების განმავლობაში დასრულდება. შენობის რემონტზე გამოყოფილია 27 000 ლარი, რემონტის დამთავრების შემდეგ შესაძენია ინვენტარი, რათა უახლოესი დროის განმავლობაში გაიხსნას ბაღი, სადაც დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა.

ასევე დამატებით, მიმდინარე თვეში, სოფ. სვერში გზის მოსახრეში სამუშაოებისათვის გამოყოფილია 9000 ლარი და სოფ. ცხრუკვეთში სარიტუალო დარბაზის რემონტისათვის 6000 ლარი.

აქტიურად ვარ ჩართული პერევისა-სვერი-თვალუეთის ცენტრალური გზის მშენებლობის პროცესში, რაც გამოიხატება ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან მიმონერებით და შეხვედრებით.

მომავალი წლისათვის პრიორიტეტად მოსახლეობის მოთხოვნით, აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე დაყენებული მაქვს შემდეგი საკითხები:

სოფელ სვერში

1. წყლის სისტემის მოწესრიგება.
2. ჩისტიების უბნის გზის მობეტონება- 40 მეტრი.
3. მაქიზეთის უბნის გზის მობეტონება -40 მეტრი.
4. კრავების უბნის გზის მობეტონება- 80 მეტრი.
5. ხოსიკაშვილების უბნის ჩასასვლელი გზის მობეტონება-40 მეტრი.
6. ღვალაძეურის უბნის გზის შეკეთება.

სოფელ ცხრუკვეთში:

1. სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიის მობეტონება-50მეტრი.
2. ქვედა უბნის გზის მობეტონება 30მ.
3. ჭიპაშვილების უბნის ცენტრალური გზის მოხრეშვა-მოშანდაკება.
4. ფხალაძეების და დაბლა უბნის გზის მოხრეშვა-მოშანდაკება.

სოფელ თვალუეთში:

1. მადოურების უბნის ჩასასვლელი გზის მობეტონება 70 მეტრი
2. კოდისწყლის უბნის გზის მოხრეშვა-მოშანდაკება.

გასათვალისწინებელია ასევე სვერი-მანდაეთის დამაკავშირებელი გზის მოხრეშვა.

საკრებულოს მიერ არჩეული ვარ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

იურიდიულ საკითხთა კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობს ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით, კომისიის მიერ დამტკიცებული კვარტალური სამუშაო გეგმებით.

კომისია მოტივირებულია საკითხების, საკრებულოში წინასწარი მომზადების, გადანყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობისა და მისი სტრუქტურული ერთეულების მუშაობის კონტროლის მიზნით.

2014 წლის ივლისის თვიდან დღემდე კომისიას სულ ჩატარებული აქვს 35 კომისიის სხდომა, რომელზედაც იხილებოდა როგორც გეგმიური, ასევე მიმდინარე საკითხები, კომისია თანამიმდევრულად ისმენდა ინფორმაციებს ყველა იმ სფეროდან, რომელიც შემოდის კომისიის უფლებამოსილებაში, აკონტროლებდა საკრებულოს წევრთა მიერ საკრებულოს რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვას, შეისწავლიდა საკრებულოს წევრთა თანამდებობრივი და სამეწარმეო საქმიანობის შეუთავსებლობის საკითხებს და საკრებულოს წარუდგენდა შესაბამის

წინადადებებს, განსაზღვრავდა საკრებულოს კომისიებში და დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის ქვოტას, შეისწავლიდა ფრაქციათა რეგისტრაციისათვის საჭირო დოკუმენტაციას და საკრებულოს სხდომაზე წარადგენდა შესაბამის დასკვნებს, კომისია ასევე თანამიმდევრულად განიხილავდა და სათანადო რეაგირებას ახდენდა მოქალაქეთა მიერ შემოსულ განცხადებებთან დაკავშირებით.

კომისიის სხდომაზე განხილული საკითხებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სოციალური მიმართულებით განსახილველ პროექტებს. ამ მიმართულებით განხილული იქნა და მხარი დაეჭირა შემდეგ პროექტებს:

„ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხიდან ჯილდოს გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 თებერვლის N7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

“ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 იანვრის N3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ .

განხილულ იქნა პროექტი -ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის მიღების წესის დამტკიცების შესახებ,რომლითაც განისაზღვრა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაცემის, მიღების პირობები და მიმღებთა კატეგორია.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი სოციალური დახმარებები:

ავადმყოფთა სოციალური დაცვა:

ა) მედიკამენტით უზრუნველყოფა.

ბ)სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დაფინანსება.

გ) ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება.

დ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება.

ე)ხანდაზმულთა დახმარება.

ვ) ომის ვეტერანთა სარიტუალო მომსახურება.

ზ)ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა.

სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება:

დეგნილთა სოციალური დაცვა.

ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება.

ომის ვეტერანთა დახმარება.

მარჩენალდაკარგულთა დახმარება.

სოციალურად დაუცველთა ოჯახის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულ ბენეფიციარები, რომელთა სოციალური სტატუსის განმსაზღვრელი სარეგისტრაციო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს, 9 თვის განმავლობაში მიიღეს 100 ლარის მედიკამენტი.

სოფ. სვერის თემში არის 151 პიროვნება, მათზე თანხით გაცემულია 15 100 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდა შემდეგი სამედიცინო მომსახურების ხარჯები:

სამკურნალო, საოპერაციო და სამედიცინო ლაბორატორიული გამოკვლევის, რომლებიც არ ანაზღაურდება მოქმედი საყოველთაო სადაზღვევო პროგრამის, ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.

გართულებული მშობიარობის დამატებითი ხარჯი, რომელიც არ ანაზღაურდება მოქმედი სახელმწიფო პროგრამით.

ლაბორატორიულ-ინსტრუმენტალური, კვლევების შემთხვევაში ბენეფიციარის მიერ გადასახდელი თანხის 50 პროცენტიანი თანაგადახდით.

ჰემოდიალიზსა და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პირთა დახმარება გაიცემა ყოველთვიურად 120 ლარის ოდენობით.

ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან სოციალური დახმარება მიეცემათ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებს (კომუნალური გადასახადების დასაფარავად).

18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ხანდაზმულებს 100 წელი და ზევით.

ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვაზე ბიუჯეტიდან გაიცემა შემდეგი დახმარებები;

1 და მე-2 შვილზე 100 ლარი. მე-3 შვილზე 150 ლარი. მე-4 და შემდგომ შვილების დაბადებაზე 200 ლარი.

მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებზე (4 და მეტი შვილი) გაიცემა ერთჯერადი დახმარება 18 წლის ასაკის თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით, დახმარება მიეცემათ 22 წლამდე.

სოციალური დახმარება მიეცემათ აგრეთვე:

1. მარტოხელა დედებს (არასრულწლოვან შვილებზე).

2. მარტოხელა პირებს.
3. უსახლკარო ოჯახებს და უკიდურესად შეჭირვებულებს (მაქსიმალური ოდენობა 300 ლარი).

სტიქიით დაზარალებულ მოქალაქეებზე დახმარება გაიცემა 5000 ლარის ოდენობით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დევნილის სტატუსის მქონე ოჯახებს ერთჯერადი დახმარება მიეცემათ 100 ლარის ოდენობით.

ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა ოჯახებს ერთჯერადი დახმარება მიეცემათ 200 ლარის ოდენობით(ასევე გარდაცვლილთა ოჯახებს).

ომის ვეტერანებს 500 ლარის ოდენობით.

მარჩენალდაკარგულებს 18 წლის ასაკის მიღწევამდე 100 ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნული პროგრამებისა და ოპერაციების გამოკვლევისათვის 9 თვის განმავლობაში სვერის თემში ისარგებლა 9 პირმა, თანხით 4420 ლარით.

ერთჯერადი დახმარება 9 თვის განმავლობაში მიიღო 8 პირმა საერთო თანხით 1050 ლარი.

პრობლემებია მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც როგორც მოგეხსენებათ ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენციას არ განეკუთვნება.

ფოტო გალერეა

